ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5069657

ნომერი: AR1763235

თარიღი : 28.07.2020

გაცემის თარიღი : 18.08.2020

გაცნობის თარიღი : 20.08.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანის V მ/რ.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შერიფ სადეკ ფაჰმი გრეის --- პ/ნ 01591003896
- თბილისი,ცაცხვების 3 შეს. 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 დეკემბრის №4803437 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 28 ივლისს №AR1763235 განცხადებით მომართა შერიფ სადეკ ფაჰმი გრეისმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის

25 დეკემბრის №4803437 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათაშესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომსამსახურის 2019 წლის 25 დეკემბრის №4803437 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გლდანის V მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.11.09.004.001), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო სამსახურის 2020 წლის 19 მარტის № 4905430 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 19 მარტიდან 2022 წლის 19 მარტის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებისთანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 დეკემბრის №4803437 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და შესაბამისად, ითხოვს საცხოვრებელ ფართობად 1993.6 კვ.მ-ის ნაცვლად 1808.8 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 3435.5კვ.მ-ის ნაცვლად 3250,7კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლისმიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომსაპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომაისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ამდენად, სამსახურმამიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 დეკემბრის №4803437 ბრძანებაშიტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 დეკემბრის №4803437 ბრძანებისტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 3250,7კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 1808.8 კვ.მ.

2. ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 დეკემბრის №4803437 ბრძანებადანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 დეკემბრის №4803437 ბრძანებასთანერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისმერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობითდადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.